ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N100

2016 წლის 29 ივლისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ს.ევგენიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 197,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.33.03.158) 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის ფორმით სწრაფი კვების ობიექტის განთავსების მიზნით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 197,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე